თბილისის საქალაქო
სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა კოლეგიას

*მხოლოდ სასამართლო მოხმარებისთვის*

| თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია | |
|---|---|
| შემოსვლის თარიღი | 27.06.18 |
| შემოსვლის დრო | |
| შემოსვლის № | 2515 32 |
| ფურცლების რაოდენობა | 58 |

# შესაგებელი
## ადმინისტრაციულ საქმეზე

საქმე №3/3469-18

ა(ა)იპ მწვანე ალტერნატივა
მოსარჩელის სახელი, გვარი (სახელწოდება)

ნათია ბუსკაძე
მოსამართლის სახელი და გვარი

## მოპასუხე:

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
სახელი, გვარი (სახელწოდება)

პირადი (საიდენ.) ნომერი

ქ. თბილისი, მარშალ გელოვანის გამზირი N6
ძირითადი მისამართი (ფაქტობრივი ადგილსამყოფელი)

ალტერნატიული მისამართი

სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი

სახლის ტელ. სამსახურის ტელ. მობილური ფაქსი ელექტრონული ფოსტა

## მოპასუხის წარმომადგენელი:

სახელი, გვარი, ადვოკატის სიითი ნომერი პირადი ნომერი ძირითადი მისამართი

ალტერნატიული მისამართი

სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი

სახლის ტელ. სამსახურის ტელ. მობილური ფაქსი ელექტრონული ფოსტა

## საკონტაქტო პირი:

მარი იმერლიშვილი
სახელი, გვარი

სახლის ტელ.

599130610
მობილური

ელექტრონული ფოსტა

*ვალდებული ხართ თქვენი შესაგებელი სარჩელსა და მასში დასმულ საკითხებზე, აგრეთვე, თქვენი მოსაზრებები სარჩელისათვის თანდართული საბუთების შესახებ სასამართლოს წარუდგინოთ სარჩელისა და თანდართული საბუთების ასლების მიღებიდან სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში, რომლის გაგრძელება დაუშვებელია, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც არსებობს საპატიო მიზეზი.*

*ფორმასთან დაკავშირებით კითხვის, შენიშვნის ან რეკომენდაციის არსებობის შემთხვევაში შეგიძლიათ დაგვიკავშირდეთ ნომერზე (995 32) 227-31-00 ან მოგვწეროთ ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, მისამართზე: forms@hcoj.gov.ge*
*სანიმუშო ფორმა შეგიძლიათ იხილოთ ვებ-გვერდზე: www.hcoj.gov.ge*

№5465/01
26.06.2018

# სასამართლოში დასაბარებელ პირთა სია

სახით:

დასაბარებელი პირის სტატუსი [illegible]

სახელი, გვარი | პირადი ნომერი | ძირითადი მისამართი

ალტერნატიული მისამართი | სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი

სახლის ტელ. | სამსახურის ტელ. | მობილური | ფაქსი | ელექტრონული ფოსტა

**ცნობთ თუ არა სარჩელს?**

**დიახ** ☐
**არა** ☒
**ნაწილობრივ** ☐

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო. ქ. თბილისი, ბოჭორმის ქ. 12, 0144
ვებ-გვერდი: www.hcoj.gov.ge; ელ. ფოსტა: council@hcoj.gov.ge

## მოპასუხის პოზიცია მოსარჩელის მიერ მითითებულ დავის ფაქტობრივ გარემოებებზე

შენიშვნა-9 შენიშვნა-10 შენიშვნა-11 შენიშვნა-12

პირველ ფაქტობრივ გარემოებას - არ ვეთანხმები

მტკიცებულება:
ა. (დანართი )

მე-2 ფაქტობრივ გარემოებას - არ ვეთანხმები

მტკიცებულება:
ა. (დანართი )

მე-3 ფაქტობრივ გარემოებას - არ ვეთანხმები

მტკიცებულება:
ა. (დანართი )

მე-4 ფაქტობრივ გარემოებას - არ ვეთანხმები

მტკიცებულება:
ა. (დანართი )

მე-5 ფაქტობრივ გარემოებას - არ ვეთანხმები

მტკიცებულება:
ა. (დანართი )

## დავის დამატებითი ფაქტობრივი გარემოებები

შენიშვნა-13 შენიშვნა-14 შენიშვნა-15

1. ფაქტობრივი გარემოება

მტკიცებულება:
ა. (დანართი )

2. ფაქტობრივი გარემოება

მტკიცებულება:
ა. (დანართი )

მიგაჩნიათ თუ არა, რომ საქმის წარმოება უნდა შეწყდეს?

**დიახ** ☐ რის საფუძველზე?

**არა** ☒

შენიშვნა-16

მიგაჩნიათ თუ არა, რომ სასამართლომ სარჩელი განუხილველად უნდა დატოვოს?

**დიახ** ☐ რის საფუძველზე?

**არა** ☒

შენიშვნა-17

მიგაჩნიათ თუ არა, რომ სასამართლომ უნდა შეაჩეროს საქმის წარმოება?

**დიახ** ☐ რომელი საფუძვლით?

**არა** ☒

შენიშვნა-18

ხომ არ აპირებთ, შეგებებული სარჩელის აღძვრას?

**დიახ** ☐ რომელი საფუძვლით?

**არა** ☒

შენიშვნა 19

## მოპასუხის პოზიცია სასარჩელო მოთხოვნასა და მის სამართლებრივ საფუძვლებზე

შენიშვნა-20 შენიშვნა-21 შენიშვნა-22

პირველ სასარჩელო მოთხოვნას - არ ვეთანხმები

მოსარჩელის მოთხოვნა: ბათილად იქნეს ცნობილი საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2018 წლის 1 მარტის N2-117 ბრძანება - "შპს "თათლი"-ს მიერ ამორტიზირებული აკუმულატორებიდან ტყვიის სადნობი და დნობისას წარმოქმნილი ტყვიის შემცველი წიდის დროებითი დასაწყობების საწარმოს (ექსპლუატაციის პირობების ცვლილება) ექსპლუატაციაზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ" უსაფუძვლოა, დაუსაბუთებელი და არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

შესაგებელი მოთხოვნის სამართლებრივ საფუძვლებზე:

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მიერ, სს „ჰეფერ მეთალ დოქუმ სანაი ვე თიჯარეთის'' ნარჩენების აღდგენისა და 10 ტონაზე მეტი სახიფათო ნარჩენის დროებითი შენახვის ობიექტის (ტყვიის აკუმულატორების გადამუშავება და ტყვიის შემცველი წიდის დროებითი დასაწყობება) ექსპლუატაციაზე, გაცემული იყო გარემოზე ზემოქმედების ნებართვა (საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2016 წლის 24 ოქტომბრის №ი-538 ბრძანება). 2017 წელს აღნიშნული ნებართვა გადაეცა შპს „თათლის“ (საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2017 წლის 22 მაისის №ი-252 ბრძანება).

"გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის" 48-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, 2018 წლის 1 იანვრამდე „გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შემთხვევაში, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება გაიცემა 2018 წლის 1 იანვრამდე გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გაცემისთვის დადგენილი წესით.

,,გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ" საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, ეკოლოგიურ ექსპერტიზას დაქვემდებარებულ საქმიანობებთან დაკავშირებული მშენებლობა ან არსებული საწარმოო ტექნოლოგიის შეცვლა განსხვავებული ტექნოლოგიით, რაც იწვევს ექსპლუატაციის პირობების შეცვლას, ასევე განიხილება, როგორც ეკოლოგიური ექსპერტიზისადმი დაქვემდებარებული საქმიანობა.

აღნიშნული საკანონმდებლო მოთხოვნის შესაბამისად, შპს ,,თათლი"-ს მიერ 2017 წლის 29 ნოემბერს, სამინისტროში განსახილველად წარმოდგენილია ამორტიზირებული აკუმულატორებიდან ტყვიის სადნობი და დნობისას წარმოქმნილი ტყვიის შემცველი წიდის დროებითი დასაწყობების საწარმოს (ექსპლუატაციის პირობების ცვლილება) მოწყობისა და ექსპლუატაციის გზშ-ის ანგარიში.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის შესაბამისად, სამინისტროს მიერ, გარემოზე ზემოქმედების ნებართვის მიღებასთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოება დაიწყო 2017 წლის 29 ნოემბერს.

სამინისტროს მიერ, 2017 წლის 29 ნოემბერს დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში, გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის წინასწარი განხილვის მიზნით შენიშვნებისა და წინადადებების წარმოსადგენად, გარემოზე ზემოქმედების ნერთვების დეპარტამენტის მიერ დაიგზავნა წერილები: - ბიომრავალფეროვნებისა და სატყეო პოლიტიკის დეპარტამენტში 2017 წლის 1 დეკემბრის N3764 წერილი), - სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში (2017 წლის 1 დეკემბერს N9861 წერილი), - ინტეგრირებული მართვის დეპარტამენტში 2017 წლის 1 დეკემბერს N3766 წერილი), - ნარენებისა და ქიმიური ნივთიერებების მართვის სამსახურში (2017 წლის 1 დეკემბერს N3765 წერილი), - სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში(2017 წლის 1 დეკემბერს N9856 წერილი).

შენიშვნები და წინადადებები წარმოდგენილი იქნა: სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს - 2018 წლის 4 იანვრის N21/14667 წერილით, ინტეგრირებული მართვის დეპარტამენტის -2018 წლის 11 იანვრის N172 წერილით, ბიომრავალფეროვნებისა და სატყეო პოლიტიკის დეპარტამენტის - 2018 წლის 9 იანვარის N114 წერილით, სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს - 2018 წლის 10 იანვრის N21/119 წერილით, ინტეგრირებული მართვის დეპარტამენტის - 2018 წლის 15 იანვრის N200 წერილით, მიწისა და წიაღის სამმართველოს 2018 წლის 4 იანვრის N14 წერილით, ნარჩენებისა და ქიმიური ნივთიერებების მართვის სამსახურის - 2018 წლის 16 იანვრის N205 წერილით, წყლის სამმართველოს - 2018 წლის 27 დეკემბრის N4023 წერილით. რის შემდგომაც ყველა ზემოთ ჩამოთვლილი სამინისტროს სისტემაში შემავალი დაწესებულების ენიშვნები/წინადადებები შეჯამდა დეპარტამენტის მიერ და გაეგზავნა შპს "თათლი"-ს.

"გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ" საქართველოს კანონის მე-6 მუხლის შესაბამისად, საქმიანობის განმახორციელებელი ვალდებულია - ცენტრალურ და ადგილობრივი თვითმართველი ერთეულის ადმინისტრაციული ტრიტორიის ფარგლებში არსებულ ბეჭდვით ორგანოში (ასეთის არსებობის შემთხვევაში) გამოაქვეყნოს ინფორმაცია მის მიერ დაგეგმილი საქმიანობის შესახებ; ინფორმაციის გამოქვეყნებიდან 3 დღის ვადაში ნებართვის გამცემ ადმინისტრაციულ ორგანოში, ხოლო ამ კანონის მე-4 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში – აგრეთვე მშენებლობის ნებართვის გამცემ ადმინისტრაციულ ორგანოში წარადგინოს გზშ-ის ანგარიშის, დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებით მომზადებული ტექნიკური რეზიუმეს და არატექნიკური რეზიუმეს დოკუმენტური და ელექტრონული ვერსიები;

დაგეგმილი საქმიანობის შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნებიდან 45 დღის განმავლობაში მიიღოს და განიხილოს საზოგადოების წარმომადგენლებისაგან წერილობითი სახით წარმოდგენილი შენიშვნები და მოსაზრებები; დაგეგმილი საქმიანობის შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნებიდან არა უადრეს 50 და არა უგვიანეს 60 დღისა მოაწყოს გზშ-ის ანგარიშის საჯარო განხილვა თავის მიერ დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებით, სადაც უზრუნველყოფილი უნდა იყოს საზოგადოების ნებისმიერი პირის დასწრება.

საქმიანობის განმახორციელებლის მიერ, საჯარო განხილვის შესახებ ინფორმაცია გამოქვეყნებული იყო 2017 წლის 29 ნოემბრის გაზეთ „რეზონანსის" №273 ნომერში სა სამინისტროს ვებგვერდზე. საჯარო განხილვის ჩატარება საქმიანობის განმახორციელებელმა უზრუნველყო "გარემოზე ზემოქმედების ნებართვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-6 მუხლის თანახმად (2018 წლის 25 იანვარს, გარდაბნის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ შენობაში, შეხვედრას ასევე ესწრებოდა სამინისტროს წარმომადგენელი.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, საჯარო განხილვის ორგანიზებას უზრუნველყოფს საქმიანობის განმახორციელებელი. ამავე კანონის მე-6 მუხლის შესაბამისად, საქმიანობის განმახორციელებელი საჯარო განხილვის შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნების შემდგომ სამინისტროში წარმოადგენს გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშს, შესაბამის დოკუმენტაციასთან ერთად. თავის მხრივ სამინისტრო ასევე მონაწილეობას იღებს საჯარო განხილვაში. (აღნიშნული დასტურდება 2017 წლის 25 იანვრის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება "თათლი"-ს ამორტიზირებული აკუმულატორებიდან ამოღებული ტყვიის სადნობი და დნობისას წარმოქმნილი ტყვიის შემცველი წიდის დროებითი დასაწყობების საწარმოს გარემოსდაცვითი დამასაბუთებელი დოკუმენტაციის საჯარო განხილვის ოქმით) სამინისტრო დეტალურად განიხილავს დაგეგმილი პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშს, რათა შენიშვნები იყოს დასაბუთებული. ამავე შენიშვნებით ხელმძღვანელობს საქმიანობის განმახორციელებელი, რომელიც საქმიანობის განხორციელების უფლების მისაღებად მომართავს სამინისტროს საბოლოოდ შემუშავებული გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშით და ითვალისწინებს სამინისტროს შენიშვნებსა და მოსაზრებებს გზშ-ს ანგარიშის წარმოდგენისას. როგორც უკვე აღვნიშნეთ, შპს ,,თათლის" მიერ წარმოდგენილ პროექტთან დაკავშირებით, სამინისტროს მიერ, 2017 წლის 29 ნოემბერს დაიწყო ადმინისტრაციული წარმოება და ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში 2018 წლის 24 იავრის N653/01 წერილით საქმიანობის განმახორცილებელს გადაეგზავნა შენიშვნები და წინადადებები. ამასთან, 2018 წლის 25 იანვარს, კომპანიის მიერ კანომდებლობით დადგენილი წესით მოწყობილ საჯარო განხილვაზე, სამინისტროს წარმომადგენელმა, საქმიანობის განმახორციელებელსა და დაინტერესებულ საზოგადოებას წარუდგინა პროექტთან დაკავშირებული შენიშვნები და წინადადებები.

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2013 წლის 14 მაისის N28 ბრძანებით დამტკიცებული „ეკოლოგიური ექსპერტიზის ჩატარების წესის" მე-8 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ეკოლოგიური ექსპერტიზის ჩატარება ხორციელდება „გარემოზე ზემოქმედების ნებართვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლით განსაზღვრული დოკუმენტაციის სრულად წარმოდგენის შემდეგ. მითითებული მუხლი ადგენს გარემოზე ზემოქმედების ნებართვის მისაღებად ეკოლოგიური ექსპერტიზისათვის წარსადგენი დოკუმენტების ჩამონათვალს.

"ეკოლოგიური ექსპერტიზის შესახებ" საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა შეიძლება იყოს დადებითი ან უარყოფითი.



საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო. ქ. თბილისი, ბოჭორმის ქ. 12, 0144
ვებ-გვერდი: www.hcoj.gov.ge; ელ. ფოსტა: council@hcoj.gov.ge

ეკოლოგიური ექსპერტიზის დადებითი დასკვნა გაიცემა იმ შემთხვევაში, თუ: ა) შეესაბამება კანონმდებლობას და საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედ გარემოს დაცვის ნორმებსა და სტანდარტებს; ბ) ასაბუთებს, რომ მასში მოყვანილი საქმიანობის განხორციელება განსაზღვრულ ადგილსა და გარემოებაში არ გამოიწვევს გარემოს მდგომარეობისა და ბუნებრივი რესურსების შეუქცევად ხარისხობრივ და თვისობრივ ცვლილებებს; გ) ითვალისწინებს გარემოზე ზემოქმედების შემცირების ან თავიდან აცილების ღონისძიებებს (მათ შორის, ავარიული სიტუაციების შესაძლო შედეგების ლიკვიდაციის ღონისძიებებს). ამავე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა უნდა მოიცავდეს შემდეგი სახის ინფორმაციას: ა) შესაბამება თუ არა საქმიანობა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს; ბ) რა სახის ნაკლოვანებებს შეიცავს ეკოლოგიური ექსპერტიზისათვის წარდგენილი დოკუმენტაცია; გ) რამდენად მნიშვნელოვანია ეკოლოგიური ექსპერტიზისათვის წარდგენილი დოკუმენტაციის ნაკლოვანებები გადაწყვეტილეიბის მიღების პროცესისათვის; დ) შესაძლებელი თუ არა ეკოლოგიური ექსპერტიზისათვის წარდგენილი დოკუმენტაციის ნაკლოვანებების გამოსწორება და თუ შესაძლებელია, რა გზით. ე) ეკოლოგიური ექპერტიზის დასკვნის პირობებს (საჭიროების შემთხვევაში).

„ეკოლოგიური ექსპერტიზის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად „ეკოლოგიური ექსპერტიზის ჩატარების მიზნით ყოველი კონკრეტული შემთხვევისათვის საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის (შემდგომ – მინისტრი) ბრძანებით იქმნება საექსპერტო კომისია.

„ეკოლოგიური ექსპერტიზის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2013 წლის 14 მაისის #28 ბრძანების მე-7 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, საექსპერტო კომისიის მუშაობის შედეგები აისახება საექსპერტო კომისის დასკვნაში, რომელსაც ამზადებს საექსპერტო კომისია და ხელს აწერს საექსპერტო კომისიის თავმჯდომარე. ამავე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად „კომისიის დასკვნა აისახება ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნაში".

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2018 წლის 12 თებერვლის #ი-65 ბრძანების შესაბამისად ექსპერტიზის ჩატარების მიზნით შეიქმნა საექსპერტო კომისია. საექსპერტო კომისიის მიერ მომზადებულ იქნა ექსპერტიზის დასკვნა, რომლის საფუძველზეც საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2018 წლის 1 მარტის N2-117 ბრძანებით გაიცა გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება და შპს „თათლის" მიენიჭა საქმიანობის განხორციელების უფლება ამორტიზირებული აკუმულატორებიდან ტყვიის სადნობი და დნობისას წარმოქმნილი ტყვიის შემცველი წიდის დროებითი დასაწყობების საწარმოს (ექსპლუატაციის პირობების ცვლილება) ექსპლუატაციაზე.

„გარემოსდაცვით საკითხებთან ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და ამ სფეროში მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობის შესახებ" ორჰუსის კონვენცია განსაზღვრავს გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის გარანტიებს, საზოგადოების ნებისმიერი დაინტერესებული ფიზიკური ან/და იურიდიული პირის უფლებებს - დაუბრკოლებლად მიიღონ და გაავრცელონ აღნიშნული ინფორმაცია, მიიღონ მონაწილეობა საქმიანობათა გარკვეულ სფეროებში გადაწყვეტილებების მიღების პროცესში და დაიცვან თავიანთი დარღვეული უფლება-ინტერესები სასამართლოებში სამართალწარმოების განხორციელებისას.


საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო. ქ. თბილისი, ბოჭორმის ქ. 12, 0144
ვებ-გვერდი: www.hcoj.gov.ge; ელ. ფოსტა: council@hcoj.gov.ge

"გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ" საქართველოს კანონით ასევე უზრუნველყოფილია საზოგადოებისა და დაინტერესებული პირების ჩართულობა და მონაწილეობა გარემოზე ზემოქმედების შეფასების პროცესში და დაუსაბუთებელია აპელანტის მოსაზრება, რომ ჩატარებული საჯარო განხილვა იყო საქმიანობის განმახორციელებლის მიერ ინიცირებული და კავშირი არ ჰქონია გადაწყვეტილების მიღების პროცესთან რის გამოც დაინტერესებულ საზოგადოებას იმ დროისათვისათვის მოქმედი კანონმდებლობით შეეზღუდა გარანტიები მიიღონ მონაწილეობა გადაწყვეტილებების მიღების პროცესში და დაიცვან თავიანთი დარღვეული უფლება-ინტერესები.

როგორც სამოქალაქო, ასევე ადმინისტრაციულ წარმოებაში მხარეები სარგებლობენ თანაბარი საპროცესო უფლებებითა და შესაძლებლობებით. კერძოდ თვითოეულა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი რომლებზეც იგი ამყარებს მოთხოვნებს. ამდენად განვმარტავთ, რომ „გარემოსდაცვით საკითხებთან ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და ამ სფეროში მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობის შესახებ" ორჰუსის კონვენციის მე-6 მუხლის დარღვევაზე მითითებისას მოსარჩელემ უნდა დაასაბუთოს ის თუ რა მნიშვნელოვანი ზეგავლენა შიძლება მოახდინოს გარემოზე, შპს "თათლი"-ს მიერ ამორტიზირებული აკუმულატორებიდან ტყვიის სადნობი და დნობისას წარმოქმნილი ტყვიის შემცველი წიდის დროებითი დასაწყობების საწარმოს (ექსპლუატაციის პირობების ცვლილება) ექსპლუატაციაზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემამ, რაც ამ კონკრეტულ შემთხვევაში არ დგინდება.

მოსარჩელის მიერ ასევე ვერ იქნა წარმოდგენილი ის მტკიცებულებები რაც დაადასტურებდა დაინტერესებული პირებისათვის ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, საჯაროობის უფლების შეზღუდვას ან/და დარღვევას.

განსახილველ შემთხვევაში, "შპს "თათლი"-ს მიერ ამორტიზირებული აკუმულატორებიდან ტყვიის სადნობი და დნობისას წარმოქმნილი ტყვიის შემცველი წიდის დროებითი დასაწყობების საწარმოს (ექსპლუატაციის პირობების ცვლილება) ექსპლუატაციაზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ" -საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2018 წლის 1 მარტის N2-117 ბრძანება სრულად შესაბამება კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს და არ არსებობს მისი ბათილად ცნობის სამართლებრივი საფუძვლები.

მე-2 სასარჩელო მოთხოვნას - არ ვეთანხმები

შესაგებელი მოთხოვნის სამართლებრივ საფუძვლებზე:

მე-3 სასარჩელო მოთხოვნას - არ ვეთანხმები

შესაგებელი მოთხოვნის სამართლებრივ საფუძვლებზე:

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე გთხოვთ, უარი უთხრათ მოსარჩელეს სარჩელის დაკმაყოფილებაზე.

# მტკიცებითი შუამდგომლობები

შენიშვნა-23

მოწმე ფაქტობრივი გარემოება(ები)

ექსპერტი ფაქტობრივი გარემოება(ები)

სპეციალისტი ფაქტობრივი გარემოება(ები)

შენიშვნა-24

შუამდგომლობები მოსარჩელის მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებათა დაუშვებლად ცნობის მოთხოვნით.
1.

შენიშვნა-25

შუამდგომლობები, საპატიო მიზეზის გამო, მტკიცებულებათა წარმოდგენის გადავადების თაობაზე.
1.

შენიშვნა-26

შუამდგომლობები მტკიცებულებათა გამოთხოვის თაობაზე.
1.

შენიშვნა-27

# სხვა სახის შუამდგომლობები

შენიშვნა-28

1. მოთხოვნა

სასამართლოს ვთხოვთ, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე, საქმეში მესამე პირად ჩაბმული იქნეს შპს "თათლი"

არგუმენტაცია:

საქართველოს ადმინისტრაცული კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, მესამე პირი აუცილებლად უნდა იქნეს საქმეში ჩაბმული, თუ იგი არის იმ სამართალურთიერთობის მონაწილე, რომლის თაობაზედაც სასამართლოს მიერ მხოლოდ საერთო გადაწყვეტილების გამოტანაა შესაძლებელი.

2. მოთხოვნა

არგუმენტაცია:

გაქვთ თუ არა აცილება მოსამართლის მიმართ?

**დიახ** ☐ რის საფუძველზე?

**არა** ☒

შენიშვნა-29

დაგჭირდებათ თუ არა თქვენ ან/და დასაბარებელ პირს თარჯიმანი საქმის ზეპირი მოსმენისას?

**დიახ** ☐ ვის? რომელი ენის მცოდნე?

**არა** ☒

* თქვენს ინტერესში შედის საქმის მორიგებით დამთავრება. მორიგება წარმოადგენს დავის გადაწყვეტის ყველაზე სწრაფ, ეფექტურ და იაფ საშუალებას. ამასთან, გეძლევათ შესაძლებლობა, თავად განსაზღვროთ დავის შედეგი, ასევე, აღმოფხვრათ კონფლიქტი ერთმანეთს შორის.
სასამართლო სხდომამდე მხარეთა მორიგების შემთხვევაში მხარეები მთლიანად თავისუფლდებიან სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან, ხოლო სასამართლო სხდომაზე მორიგების შემთხვევაში სახელმწიფო ბაჟის ოდენობა ნახევრდება.
მოურიგებლობის ნეგატიური შედეგებია:
» რთულადგანჭვრეტადი შედეგი;
» ხანგრძლივი სასამართლო პროცესი;
» სასამართლო ხარჯები;
» სასამართლოსგარეშე ხარჯები;
» ყოველდღიური ხარჯები.

## თანახმა ხართ თუ არა, რომ საქმე დაამთავროთ მორიგებით?

**დიახ** ☐ მორიგების პირობები:

**არა** ☒ რადგან

შენიშვნა-30

## თანდართული საბუთების ნუსხა

შენიშვნა-31 შენიშვნა-32

დანართი 1: საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2018 წლის 1 მარტის N2-117 ბრძანება - "შპს "თათლი"-ს მიერ ამორტიზირებული აკუმულატორებიდან ტყვიის სადნობი და დნობისას წარმოქმნილი ტყვიის შემცველი წიდის დროებითი დასაწყობების საწარმოს (ექსპლუატაციის პირობების ცვლილება) ექსპლუატაციაზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ" - 5 (ხუთი) ფურცელი.

დანართი 2: საექსპერტო კომისიის დასკვნა შპს "თათლი"-ს ამორტიზირებული აკუმულატორებიდან ტყვიის სადნობი და დნობისას წარმოქმნილი ტყვიის შემცველი წიდის დროებითი დასაწყობების საწარმოს (ექსპლუატაციის პირობების ცვლილება) ექსპლუატაციის გზშ-ს ანგარიშზე - 7 (შვიდი) ფურცელი.

დანართი 3: შპს "თათლის" დირექტორის 2018 წლის 7 თებერვლის N1508 წერილი. 1 (ერთი) ფურცელი.

დანართი 4: საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2018 წლის 12 თებერვლის N2-65 ბრძანება - "შპს "თათლი"-ს მიერ ამორტიზირებული აკუმულატორებიდან ტყვიის სადნობი და დნობისას წარმოქმნილი ტყვიის შემცველი წიდის დროებითი დასაწყობების საწარმოს (ექსპლუატაციის პირობების ცვლილება) გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშზე ეკოლოგიური ექსპერტიზის ჩატარების მიზნით საექსპერტო კომისიის შექმნის შესახებ" - 2 (ორი) ფურცელი.

დანართი 5: საქართველოს გარემოს დაცვისა სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2018 წლის 24 იანვრის N653/01 წერილი - 4 (ოთხი) ფურცელი.

დანართი 6: შპს "თათლის" დირექტორის 2017 წლის 29 ნოემბრის N21220 წერილი. 1 (ერთი) ფურცელი.

დანართი 7: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება "თათლი"-ს ამორტიზირებული აკუმულატორებიდან ამოღებული ტყვიის სადნობი და დნობისას წარმოქმნილი ტყვიის შემცველი წიდის დროებითი დასაწყობების საწარმოს გარემოსდაცვითი დამასაბუთებელი დოკუმენტაციის საჯარო განხილვის ოქმი - 2 (ორი) ფურცელი.
დანართი 8: "ნინო თანდილაშვილისათვის სასამართლო ორგანოებში წარმომადგენლობის უფლებამოსილების მინიჭების შესახებ" საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2018 წლის 22 მარტის #2-175 ბრძანება. 2 (ორი) ფურცელი.
დანართი: 9 სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს 4 იანვრის N21/14667 წერილი; 1 (ერთი) ფურცელი.
დანართი10: ინტეგრირებული მართვის დეპარტამენტის 2018 წლის 11 იანვრის N172 წერილი; 1 (ერთი) ფურცელი.
დანართი11: ბიომრავალფეროვნებისა და სატყეო პოლიტიკის დეპარტამენტის 2018 წლის 9 იანვარის N114 წერილი; 1 (ერთი) ფურცელი.
დანართი12: სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს 2018 წლის 10 იანვრის N21/119 წერილი; 1 (ერთი) ფურცელი.
დანართი 13: ინტეგრირებული მართვის დეპარტამენტის 2018 წლის 15 იანვრის N200 წერილი; 1 (ერთი) ფურცელი.
დანართი 14 მიწისა და წიაღის სამმართველოს 2018 წლის 4 იანვრის N14 წერილი; 1 (ერთი) ფურცელი.
დანართი 15: ნარჩენებისა და ქიმიური ნივთიერებების მართვის სამსახურის 2018 წლის 16 იანვრის N205 წერილი; 2 (ორი) ფურცელი.
დანართი 16: წყლის სამმართველოს 2018 წლის 27 დეკემბრის N4023 წერილი. 1 (ერთი) ფურცელი.
დანართი 17: ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში დაგზავნილი წერილები: 2017 წლის 1 დეკემბრის N3764 წერილი - ბიომრავალფეროვნებისა და სატყეო პოლიტიკის დეპარტამენტში, 2017 წლის 1 დეკემბერს N9861 წერილი - სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში, 2017 წლის 1 დეკემბერს N3766 წერილი - ინტეგრირებული მართვის დეპარტამენტში, 2017 წლის 1 დეკემბერს N3765 წერილი - ნარენებისა და ქიმიური ნივთიერებების მართვის სამსახურში, 2017 წლის 1 დეკემბერს N9856 წერილი - სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში. 5 (ხუთი) ფურცელი.

დანართი 9: 1CD დისკი.

ფურცლების საერთო რაოდენობა: 44 ფურცელი და 1 CD დისკი.

თანახმა ხართ თუ არა, რომ სასამართლომ საქმე განიხილოს ზეპირი მოსმენის გარეშე?

**დიახ** ☐

**არა** ☒ რადგან

შენიშვნა-33

რა დრო დაგჭირდებათ მთავარ სხდომაზე თქვენი პოზიციის დასაბუთებისათვის?

15 წუთი რადგან

რამდენ სხდომაში მიგაჩნიათ გონივრულად დავის განხილვის დასრულება?

I სხდომაში რადგან

შენიშვნა-34

თანახმა ხართ თუ არა, რომ სასამართლომ საქმე განიხილოს დაჩქარებული წესით?

**დიახ** ☐

**არა** ☒ რადგან

შენიშვნა-35

თქვენ მიერ მითითებულ რომელ მისამართზე ისურვებდით სასამართლო შეტყობინების მიღებას?

ძირითად მისამართზე დროის ოპტიმალური შუალედი: 00:00 - 10:00

თანახმა ხართ თუ არა, რომ წერილობითი მასალები მიიღოთ ელექტრონული ფოსტის მეშვეობით?

**დიახ** ☐

**არა** ☒ რადგან

შენიშვნა-36

**გთხოვთ, გაითვალისწინოთ!**
სასამართლოში საქმის განხილვა მიმდინარეობს თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპის საფუძველზე – თქვენ გეკისრებათ როგორც ფაქტების მითითების, ასევე მათი დამტკიცების ტვირთი. საქმის საბოლოო შედეგი დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ დაასაბუთებთ თქვენს პოზიციას და რომელი მტკიცებულებებით დაადასტურებთ მათ ანუ წარმატებას განაპირობებს თქვენი პროფესიონალიზმი და თქვენს მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები.

ჩემი (ჩემი მარწმუნებლის) ცოდნის, ინფორმირებულობისა და რწმენის საუკეთესო გამოვლინებით, ამ ფორმაში ფაქტები მივუთითე სრული სახით და ისინი შეესაბამება სინამდვილეს. ვაცნობიერებ, თუ რა შედეგთან არის დაკავშირებული მონაცემების არასწორი ან/და არასრული მითითება.

ნ. [signature] ნინო თანდილაშვილი 25/06/2018 წ.

ხელმოწერა ხელმომწერის სახელი, გვარი შევსების თარიღი

შევსებული ფორმა შეგიძლიათ ჩააბაროთ სასამართლოს კანცელარიის (მისაღების) მოხელეს ან გამოაგზავნოთ ფოსტის მეშვეობით. სასამართლოს კანცელარია (მისაღები) მუშაობს 09:30-დან 17:00 საათამდე, ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით.

## საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

## ბრძანება N 2-175

ქ. თბილისი

22/03/2018

ნინო თანდილაშვილისათვის სასამართლო ორგანოებში წარმომადგენლობის უფლებამოსილების მინიჭების შესახებ

„საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 23-ე მუხლის, „საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 6 მარტის N112 დადგენილებით დამტკიცებული საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს დებულების მე-3 მუხლის მე-3 პუნქტისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილეს ნინო თანდილაშვილს მიენიჭოს უფლებამოსილება:

ა) საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-15 მუხლისა და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 98-ე მუხლის შესაბამისად, სასამართლო ორგანოებში წარმომადგენლობის უფლებამოსილების განსახორციელებლად, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინტერესების წარდგენისა და დაცვის მიზნით შეასრულოს ყველა საპროცესო მოქმედება ნებისმიერ სასამართლო ინსტანციაში, მათ შორის: ხელი

მოაწეროს განცხადებებსა და მინდობილობებზე, აღძრას სარჩელი, ცნოს სარჩელი, მთლიანად ან ნაწილობრივ უარი თქვას სასარჩელო მოთხოვნაზე, შეცვალოს სარჩელის საგანი, მოურიგდეს მხარეს, გაასაჩივროს სასამართლო გადაწყვეტილება და წარადგინოს სააღსრულებო ფურცელი გადასახდევინებლად;

ბ) პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული უფლებამოსილებით აღჭურვოს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს საჯარო მოსამსახურეები.

2. ბრძანების პირველი პუნქტით განსაზღვრული უფლებამოსილებები საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილის ნინო თანდილაშვილის არყოფნის შემთხვევაში, მიენიჭოს საქართველოს გარემო დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის პირველ მოადგილეს ნოდარ კერესელიძეს.

3. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ნ. კერესელიძისთვის სასამართლო ორგანოებში წარმომადგენლობის უფლებამოსილების მინიჭების შესახებ“ საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის 2014 წლის 18 ნოემბრის N2-229 ბრძანება.

4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ლევან დავითაშვილი

მინისტრი

**საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი**

# ბრძანება N 2-117

01/03/2018 ქ. თბილისი

**შპს „თათლი"-ს მიერ ამორტიზირებული აკუმულატორებიდან ტყვიის სადნობი და დნობისას წარმოქმნილი ტყვიის შემცველი წიდის დროებითი დასაწყობების საწარმოს (ექსპლუატაციის პირობების ცვლილება) ექსპლუატაციაზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ**

გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით შპს „თათლი"-ს მიერ წარმოდგენილია გარდაბნის რაიონის სოფელ აღთაკლიაში, ამორტიზირებული აკუმულატორებიდან ტყვიის სადნობი და დნობისას წარმოქმნილი ტყვიის შემცველი წიდის დროებითი დასაწყობების საწარმოს (ექსპლუატაციის პირობების ცვლილება) გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში.

წარმოდგენილი განცხადებითა და თანდართული დოკუმენტაციით დგინდება შემდეგი:

შპს „თათლი"-ს საწარმო მდებარეობს გარდაბნის რაიონის სოფელ აღთაკლიაში (ს/კ 81.06.00.333). აღნიშნული საწარმო წარმოადგენს ფუნქციონირებად საწარმოს, რომელზეც 2016 წელს სააქციო საზოგადოება "ჰეფერ მეთალ დოქუმ სანაი ვე თიჯარეთ"-ს სახელზე გაცემული იყო გარემოზე ზემოქმედების ნებართვა, ხოლო 2017 წლის მაისში მოხდა აღნიშნული ნებართვის გადაცემა შპს „თათლი"-ზე.

საწარმოში გარემოზე ზემოქმედების ნებართვა გაცემული იყო ორ მბრუნავ ღუმელზე, რომელთაგან ერთი წარმოადგენდა სათადარიგო ღუმელს, რომელშიც ხორციელდებოდა ტყვიის ჯართისაგან ე.წ. ტყვიის პირველადი სხმულების მიღება, ასევე მიღებული წიდისაგან მეორადი დნობა და შესაბამისად ტყვიის სხმულების მიღება. შპს „თათლი"-ს მიერ განხორციელდა არსებული ორი მბრუნავი ღუმელებიდან ერთის შეცვლა სტაციონარული რევერბერული ღუმელით, სადაც განხორციელდება მხოლოდ ტყვიის ჯართის გამოდნობა, ხოლო მეორე მბრუნავ სათადარიგო ღუმელში განხორციელდება სტაციონარული რევერბერული ღუმელში წარმოქმნილი ტყვიის შემცველი წიდის ხელახალი გამოდნობა.

აღნიშნული ღუმელები იმუშავებენ მონაცვლეობით, კერძოდ სტაციონარული რევერბერული ღუმელის ფუნქციონირებისას წარმოქმნილი ტყვიის შემცველი წიდის გარკვეული რაოდენობის დაგროვების შემდგომ მოხდება მისი გაჩერება და მბრუნავი ღუმელის ჩართვა და დაგროვილი ტყვიის შემცველი წიდისაგან ტყვიის სხმულების წარმოება.

საწარმოში ასევე განხორციელდა მტვერდამჭერი სისტემის - სახელოებიანი ფილტრების განახლება. ორივე ღუმელი და მისგან გამავალი აირმტვერნარევი ასევე მიერთებული იქნა არსებულ განახლებულ მტვერდამჭერ სისტემაში.

21.06.18

1

საწარმოდან უახლოესი დასახლებული პუნქტი მდებარეობს 600 მ მანძილზე, ხოლო უახლოესი ზედაპირული წყლის ობიექტი, მდ. მტკვრი - 500 მ მანძილზე.

ვინაიდან საწარმო წარმოადგენს არსებულ საწარმოს, ტერიტორიის შერჩევის ალტერნატიული ვარიანტების განხილვა არ მოხდა და განხილული იქნა მხოლოდ ტექნოლოგიის შერჩევის ალტერნატიული ვარიანტები.

საწარმოში დანერგილი ტექნოლოგიით ტყვიის აკუმულატორების გამოდნობა მიმდინარეობდა ჯერ შახტურ ღუმელში, ხოლო შემდეგ მიღებული სხმულების გამოდნობა წარმოებდა მბრუნავ ღუმელში. ტექნოლოგიის ალტერნატიული ვარიანტების შედარებითი ანალიზის საფუძველზე, ეკოლოგიური და ეკონომიკური ფაქტორების გათვალისწინებით უპირატესობა მიენიჭა მბრუნავ ღუმელში აღდგენითი პირომეტალურგიული დნობის მეთოდს, ვინაიდან, აღნიშნული მეთოდის საშუალებით ტყვიის ჯართის გამოდნობის შემდგომ მიღებულ წიდაში ტყვიის შემცველობა მცირდება 3%-მდე.

საწარმო იმუშავებს წელიწადში 300 დღეს ორცვლიანი რეჟიმით. ცვლის ხანგრძლივობა იქნება 8 საათი. საწარმოში დასაქმებული იქნება 12 ადამიანი.

საწარმოში გათვალისწინებულია წელიწადში 1240 ტონა მეტალური ტყვიის წარმოება. ამისთვის წელიწადში გადამუშავდება დაახლოებით 1880 ტონა ვადაგასული და მწყობრიდან გამოსული აკუმულატორი.

საწარმოში დამზადებული ტყვიის სხმულები, მის რეალიზაციამდე ინახება მზა პროდუქციის საწყობში. ხოლო დარჩენილი წიდა დროებით საწყობდება სპეციალურ წიდის სასაწყობო შენობაში. წიდის დროებითი დასაწყოების შენობა გადახურულია, იატაკი მობეტონებულია, დაცულია ატმოსფერული ნალექებისა და სანიაღვრე წყლებისაგან. აღნიშნულ საწყობში შესაძლებელია დროებით დასაწყოვებული იქნას 5000 ტონა ტყვიის შემცველი წიდა.

1 ტონა მეტალური ტყვიის მიღებისას საშუალოდ წარმოიქმნება 6-7%, ანუ 64.5 კგ წიდა. შესაბამისად, საწარმოში წლის განმავლობაში მოსალოდნელია დაახლოებით 80 ტონა წიდის დაგროვება. საწარმოში დაგეგმილი ტყვიის დნობის თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენების შედეგად წიდაში ტყვიის ოქსიდის შემცველობა არ იქნება 3 %-ზე მეტი.

საწარმოს ტექნოლოგიური პროცესის პირველ ეტაპზე მოხდება აკუმულატორების დემონტაჟი. ამისათვის დროებითი დასაწყობების ადგილიდან აკუმულატორები გადაიზიდება სადემონტაჟო საამქროში. აკუმულატორების დაშლა მოხდება ხელით და გამოყენებული იქნება სპეციალური დასაჭრელი მოწყობილობები. ამოღებული ტყვიის ფირფიტების, ელექტროლიტური პასტის და ტყვიის სხვა დეტალების განთავსება მოხდება სპეციალურ-დახურულ კონტეინერებში და დასაწყობდება საამქროში, საიდანაც ავტოკარით გადაიზიდება საწარმოო საამქროში მბრუნავ ღუმელებში ჩასატვირთად.

აკუმულატორის მონობლოკების დაშლის შედეგად მიღებული არამეტალური ნარჩენები (პოლიეთილენი, პოლიპროპილენი, პ.ვ.ქ) დახარისხდება სახეობების მიხედვით და ცალ-ცალკე განთავსდება კონტეინერებში. ნარჩენები ასევე დასაწყობდება სადემონტაჟო საამქროში და დაგროვების შესაბამისად გაცემული იქნება შესაბამისი ნებართვის მქონე ორგანიზაციებზე.

აკუმულატორის დემონტაჟის დროს წარმოქმნილი ქაღალდის ნარჩენები და მინა-ბამბა დაბინძურებულია ტყვიის ოქსიდებით და გასუფთავების გარეშე მათი

№2

2

21.05.18

ნაგავსაყრელზე გატანა დაუშვებელია. ამიტომ, ისინი ტყვიის ჯართთან ერთად განთავსდება სადნობ ღუმელში. დნობის პროცესში ქაღალდის ნარჩენები დაიწვება, ხოლო მინა-ბამბა გამოილექება წიდასთან ერთად.

წყალი საწარმოში გამოიყენება სასმელ-სამეურნეო, ხანძარსაწინააღმდეგო და საწარმოო მიზნებისათვის. საწარმოს წყალმომარაგება განხორციელდება ადგილობრივი წყალმომარაგების სისტემიდან. სასმელ-საყოფაცხოვრებო და სამეურნეო-ფეკალური წყლების ჩაშვება მოხდება საკანალიზაციო სისტემაში.

მოქმედი ჰაერდაცვითი კანონმდებლობის შესაბამისად, შემუშავებული და გარემოსდაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან არის შეთანხმებული ,,ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტი''.

აღნიშნული გზშ-ს ანგარიში განიხილეს შესაბამისმა ექსპერტებმა გარემოსდაცვითი შეფასების სხვადასხვა მიმართულებით (ჰაერის, ნარჩენების, ბიომრავალფეროვნების, წყლის, მიწის), რომელთა დასკვნების შეჯერებისა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის შეფასების ასევე გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის 48-ე მუხლის პირველი ნაწილის და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის საფუძველზე.

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:**

1. დამტკიცდეს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება №8; 22.02.2018 და მიენიჭოს საქმიანობის განხორციელების უფლება შპს „თათლი"-ს ამორტიზირებული აკუმულატორებიდან ტყვიის სადნობი და დნობისას წარმოქმნილი ტყვიის შემცველი წიდის დროებითი დასაწყობების საწარმოს (ექსპლუატაციის პირობების ცვლილება) ექსპლუატაციაზე (გარდაბნის რაიონი, სოფელი აღთაკლია (ს/კ 81.06.00.333));
2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს ,,სს ,,ჰეფერ მეთალ დოქუმ სანაი ვე თიჯარეთ''-ის ნარჩენების აღდგენისა და 10 ტონაზე მეტი სახიფათო ნარჩენის დროებითი შენახვის ობიექტის (ტყვიის აკუმულატორების გადამუშავება და ტყვიის შემცველი წიდის დროებით დასაწყობება) ექსპლუატაციაზე გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გაცემის შესახებ" საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2016 წლის 24 ოქტომბრის #ი-538 ბრძანება;
3. ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება გაიცემა განუსაზღვრელი ვადით;
4. შპს ,,თათლმა" საქმიანობა განახორციელოს აღნიშნული გადაწყვეტილებით (№8; 22.02.2018) გათვალისწინებული შემდეგი პირობების დაცვით;
   4.1 საქმიანობის განხორციელება უზრუნველყოს წარმოდგენილი გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის, გზშ-ს ანგარიშში წარმოდგენილი ტექნოლოგიური სქემის, გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებების, გარემოსდაცვითი მონიტორინგის და ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების გეგმების შესაბამისად;
   4.2 უზრუნველყოს ,,ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტში'' წარმოდგენილი გამოყოფის და გაფრქვევის წყაროების, ასევე აირმტვერდამჭერი მოწყობილობების პარამეტრების დაცვა და, შესაბამისად, დადგენილი ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების შესრულება;

გარემოსდაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
№2
საქართველო

5 18.

4.3 უზრუნველყოს ჰაერის ხარისხის მონიტორინგის წარმოება როგორც საწარმოს ტერიტორიაზე, ისე უახლოეს დასახლებულ პუნქტთან მიმართებაში, კანონმდებლობით დადგენილი წესით.

4.4 გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემიდან 3 თვის ვადაში უზრუნველყოს საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2015 წლის 4 აგვისტოს #211 ბრძანების შესაბამისად შემუშავებული ნარჩენების მართვის გეგმის შესათანხმებლად წარმოდგენა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში. გეგმაში დეტალურად უნდა იყოს განხილული და დაზუსტებული ნარჩენის კოდით 100401* (წიდები-პირველადი ან მეორადი გადადნობიდან) შემდგომი მართვის საკითხები;

4.5 საწარმომ ნარჩენების მართვა უზრუნველყოს ნარჩენების მართვის კოდექსისა და მისგან გამომდინარე კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების მოთხოვნებისა და ვალდებულებების შესაბამისად.

4.6 სახიფათო ნარჩენის დროებითი შენახვის ობიექტის მოწყობა და სახიფათო ნარჩენების დროებითი განთავსება უზრუნველყოს „სახიფათო ნარჩენების შეგროვებისა და დამუშავების სპეციალური მოთხოვნების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2016 წლის 29 მარტის N145 დადგენილებით გათვალისწინებული მოთხოვნების და ვალდებულებების შესაბამისად;

4.7 უზრუნველყოს ელექტროლიტებისაგან დაცლილი აკუმულატორების მიღება მხოლოდ შესაბამისი ნებართვის/გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მქონე ორგანიზაციებიდან;

4.8 იმ შემთხვევაში თუ ნარჩენი კოდით 100401* (წიდები-პირველადი ან მეორადი გადადნობიდან) განკუთვნილია განთავსებისათვის მათი საწარმოს ტერიტორიაზე შენახვა უზრუნველყოს 1 წელზე ნაკლები დროით, ხოლო თუ ნარჩენები განკუთვნილია აღდგენისათვის მათი შენახვა განახორციელოს 3 წელზე ნაკლები დროით;

4.9 საქმიანობის შეწყვეტის შემთხვევაში, უზრუნველყოს გარემოს წინანდელ მდგომარეობამდე აღდგენის გზებისა და საშუალებების განსაზღვრა და შესაბამისი პროექტის გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროში წარმოდგენა;

4.10 გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების სხვა პირზე გადაცემის შემთხვევაში გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გადაცემა განახორციელოს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით" დადგენილი წესით.

5. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „თათლი"-ს;
6. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „თათლი"-ს მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
7. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოში-საქართველოს მთავრობაში (თბილისი, ინგოროყვას ქუჩა N7) ან თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო №2

4

მინისტრი

დასკვნა

შპს „თათლის" (ტყვიის აკუმულატორებიდან ამოღებული ტყვიის სადნობი და დნობისას წარმოქმნილი ტყვიის შემცველი წიდის დროებითი დასაწყობების საწარმოს ექსპლუატაციის პირობების შეცვლა) გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის შესახებ ატმოსფერული ჰაერის მავნე ნივთიერებებით დაბინძურებისგან დაცვის ნაწილში

ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის მიღების მიზნით წარმოდგენილი გზშ-ს ანგარიშისა და თანდართული „ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევების ნორმების პროექტის" განხილვის საფუძველზე ატმოსფერული ჰაერის დაცვის ნაწილში გაკეთდა შემდეგი დასკვნები:

- დოკუმენტებში შეფასებულია ობიექტის ფუნქციონირებით გამოწვეული ზეგავლენა ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე, კერძოდ, იდენტიფიცირებულია მავნე ნივთიერებათა გამოყოფის და გაფრქვევის წყაროები და განსაზღვრულია მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის პარამეტრები;

- ობიექტის ექსპლუატაციის შედეგად ატმოსფერულ ჰაერში გაიფრქვევა არაორგანული მტვერი (20%-მდე $SiO_2$), ტყვია, თუთია (თუთიის ოქსიდი), კადმიუმი (კადმიუმის ოქსიდი), დარიშხანი, ჭვარტლი, ნაჯერი ნახშირწყალბადები ($C_{12}$-$C_{19}$), აზოტის დიოქსიდი, ნახშირბადის მონოქსიდი, გოგირდის დიოქსიდი, ვანადიუმის ხუთჟანგი;

- საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის №408 დადგენილებაში მოყვანილი საანგარიშო მეთოდიკის შესაბამისად განხორციელებული მავნე ნივთიერებათა გაბნევის ანგარიშის თანახმად, ობიექტის ექსპლუატაციის შედეგად ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა კონცენტრაცია (და არც ჯამური ზემოქმედების მქონე ნივთიერებების კონცენტრაცია) არ აჭარბებს ნორმით დადგენილ შესაბამის მნიშვნელობებს ობიექტიდან 500 მ-იანი რადიუსის საზღვარზე, ამიტომ მავნე ნივთიერებათა გაფრქვევების მიღებული რაოდენობები კვალიფიცირდება, როგორც ზღვრულად დასაშვები გაფრქვევები.

საჭიროდ მიმაჩნია, რომ ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის გაცემისას გათვალისწინებულ იქნას შემდეგი პირობა:

- საქმიანობის სუბიექტმა უნდა უზრუნველყოს "ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტში" წარმოდგენილი გამოყოფის და გაფრქვევის წყაროების, ასევე აირმტვერდამჭერი მოწყობილობების, პარამეტრების დაცვა და, შესაბამისად, დადგენილი ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების შესრულება;
- საქმიანობის სუბიექტმა უნდა უზრუნველყოს მონიტორინგის წარმოება როგორც საწარმოს ტერიტორიაზე, ისე უახლოეს დასახლებულ პუნქტთან კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ატმოსფერული ჰაერის დაცვის სამმართველოს
მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ნ. ობოლაშვილი

საექსპერტო დასკვნა

შპს „თათლი“-ს მიერ, გარდაბნის რაიონის სოფელ აღთაკლიაში, ამორტიზირებული აკუმულატორებიდან ტყვიის სადნობი და დნობისას წარმოქმნილი ტყვიის შემცველი წიდის დროებითი დასაწყობების საწარმოს (ექსპლუატაციის პირობების ცვლილება) გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის შესახებ

შპს „თათლმა“ ნარჩენების მართვა განახორციელოს საქართველოს კანონი „ნარჩენების მართვის კოდექსის“ და მისგან გამომდინარე კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების მოთხოვნებისა და ვალდებულებების შესაბამისად;

კომპანიამ ელექტროლიტებისაგან დაცლილი აკუმულატორები მიიღოს მხოლოდ შესაბამის საქმიანობაზე ნებართვის/გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მქონე ორგანიზაციებიდან;

სახიფათო ნარჩენის დროებითი შენახვის ობიექტი მოეწყოს და სახიფათო ნარჩენების დროებითი განთავსება მოხდეს „სახიფათო ნარჩენების შეგროვებისა და დამუშავების სპეციალური მოთხოვნების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 29 მარტის N145 დადგენილებით გათვალისწინებული მოთხოვნების და ვალდებულებების შესაბამისად;

ნარჩენის კოდით 100401* (წიდები პირველადი ან მეორადი გადადნობიდან) დროებითი შენახვა მოხდეს 1 წელზე ნაკლები დროით თუ ნარჩენები განკუთვნილია განთავსებისთვის და 3 წელზე ნაკლები დროით თუ ნარჩენები განკუთვნილია აღდგენისათვის. აღნიშნული ვადების გადაწევა უნდა შეთანხმდეს სამინისტროსთან კანონმდებლობით დადგენილი წესით;

კომპანიამ 3 თვის ვადაში სამინისტროში წარმოადგინოს ნარჩენების მართვის კოდექსისა და საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2015 წლის 4 აგვისტოს N211 ბრძანებით დამტკიცებული კომპანიის ნარჩენების მართვის გეგმის განხილვისა და შეთანხმების წესის ვალდებულებებისა და მოთხოვნების შესაბამისად შედგენილი კომპანიის ნარჩენების მართვის გეგმა. გეგმაში დეტალურად უნდა იყოს განხილული და დაზუსტებული ნარჩენის კოდით 100401* (წიდები -პირველადი ან მეორადი გადადნობიდან) შემდგომი მართვის საკითხი.

ქრისტინე ვარდანაშვილი
ნარჩენებისა და ქიმიური ნივთიერებების მართვის სამსახურის
პირველადი სტრუქტურული ერთეულის მე-2 კატეგორიის
უფროსი სპეციალისტი

დასკვნა

გარდაბნის რაიონის სოფელ აღთაკლიაში, შპს „თათლი"-ს ამორტიზირებული აკუმულატორებიდან ტყვიის სადნობი და დნობისას წარმოქმნილი ტყვიის შემცველი წიდის დროებითი დასაწყობების საწარმოს (ექსპლუატაციის პირობების ცვლილება) გზშ-ს ანგარიშზე.

პროექტის წინასწარ განხილვაზე ჩვენს მიერ გამოთქმული შენიშვნები და მოსაზრებები გათვალისწინებულია.
სანებართვო პირობები არ გაგვაჩნია.

გარემოს დაბინძურების მონიტორინგის
დეპარტამენტის მთ.სპეციალისტი ომარ ყენია

№2

8

**საექსპერტო კომისიის დასკვნა შპს „თათლი"-ს ამორტიზირებული აკუმულატორებიდან ტყვიის სადნობი და დნობისას წარმოქმნილი ტყვიის შემცველი წიდის დროებითი დასაწყობების საწარმოს (ექსპლუატაციის პირობების ცვლილება) ექსპლუატაციის გზშ-ს ანგარიშზე**

გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით შპს „თათლი"-ს მიერ წარმოდგენილია გარდაბნის რაიონის სოფელ აღთაკლიაში, ამორტიზირებული აკუმულატორებიდან ტყვიის სადნობი და დნობისას წარმოქმნილი ტყვიის შემცველი წიდის დროებითი დასაწყობების საწარმოს (ექსპლუატაციის პირობების ცვლილება) გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში.

წარმოდგენილი განცხადებითა და თანდართული დოკუმენტაციით დგინდება შემდეგი:

შპს „თათლი"-ს საწარმო მდებარეობს გარდაბნის რაიონის სოფელ აღთაკლიაში (ს/კ 81.06.00.333). აღნიშნული საწარმო წარმოადგენს ფუნქციონირებად საწარმოს, რომელზეც 2016 წელს სააქციო საზოგადოება "ჰეფერ მეთალ დოქუმ სანაი ვე თიჯარეთ"-ს სახელზე გაცემული იყო გარემოზე ზემოქმედების ნებართვა, ხოლო 2017 წლის მაისში მოხდა აღნიშნული ნებართვის გადაცემა შპს „თათლი"-ზე.

საწარმოში გარემოზე ზემოქმედების ნებართვა გაცემული იყო ორ მბრუნავ ღუმელზე, რომელთაგან ერთი წარმოადგენდა სათადარიგო ღუმელს, რომელშიც ხორციელდებოდა ტყვიის ჯართისაგან ე.წ. ტყვიის პირველადი სხმულების მიღება, ასევე მიღებული წიდისაგან მეორადი დნობა და შესაბამისად ტყვიის სხმულების მიღება. შპს „თათლი"-ს მიერ განხორციელდა არსებული ორი მბრუნავი ღუმელებიდან ერთის შეცვლა სტაციონარული რევერბერული ღუმელით, სადაც განხორციელდება მხოლოდ ტყვიის ჯართის გამოდნობა, ხოლო მეორე მბრუნავ სათადარიგო ღუმელში განხორციელდება სტაციონარული რევერბერული ღუმელში წარმოქმნილი ტყვიის შემცველი წიდის ხელახალი გამოდნობა.

აღნიშნული ღუმელები იმუშავებენ მონაცვლეობით, კერძოდ სტაციონარული რევერბერული ღუმელის ფუნქციონირებისას წარმოქმნილი ტყვიის შემცველი წიდის გარკვეული რაოდენობის დაგროვების შემდგომ მოხდება მისი გაჩერება და მბრუნავი ღუმელის ჩართვა და დაგროვილი ტყვიის შემცველი წიდისაგან ტყვიის სხმულების წარმოება.

საწარმოში ასევე განხორციელდა მტვერდამჭერი სისტემის - სახელოებიანი ფილტრების განახლება. ორივე ღუმელი და მისგან გამავალი აირმტვერნარევი ასევე მიერთებული იქნა არსებულ განახლებულ მტვერდამჭერ სისტემაში.

საწარმოდან უახლოესი დასახლებული პუნქტი მდებარეობს 600 მ მანძილზე, ხოლო უახლოესი ზედაპირული წყლის ობიექტი, მდ. მტკვარი - 500 მ მანძილზე.

ვინაიდან საწარმო წარმოადგენს არსებულ საწარმოს, ტერიტორიის შერჩევის ალტერნატიული ვარიანტების განხილვა არ მოხდა და განხილული იქნა მხოლოდ ტექნოლოგიის შერჩევის ალტერნატიული ვარიანტები.

საწარმოში დანერგილი ტექნოლოგიით ტყვიის აკუმულატორების გამოდნობა მიმდინარეობდა ჯერ შახტურ ღუმელში, ხოლო შემდეგ მიღებული სხმულების გამოდნობა წარმოებდა მბრუნავ ღუმელში. ტექნოლოგიის ალტერნატიული ვარიანტების შედარებითი

№2

9

ანალიზის საფუძველზე, ეკოლოგიური და ეკონომიკური ფაქტორების გათვალისწინებით უპირატესობა მიენიჭა მბრუნავ ღუმელში აღდგენითი პირომეტალურგიული დნობის მეთოდს, ვინაიდან, აღნიშნული მეთოდის საშუალებით ტყვიის ჯართის გამოდნობის შემდგომ მიღებულ წიდაში ტყვიის შემცველობა მცირდება 3%-მდე.

საწარმო იმუშავებს წელიწადში 300 დღეს ორცვლიანი რეჟიმით. ცვლის ხანგრძლივობა იქნება 8 საათი. საწარმოში დასაქმებული იქნება 12 ადამიანი.

საწარმოში გათვალისწინებულია წელიწადში 1240 ტონა მეტალური ტყვიის წარმოება. ამისთვის წელიწადში გადამუშავდება დაახლოებით 1880 ტონა ვადაგასული და მწყობრიდან გამოსული აკუმულატორი.

საწარმოში დამზადებული ტყვიის სხმულები, მის რეალიზაციამდე ინახება მზა პროდუქციის საწყობში. ხოლო დარჩენილი წიდა დროებით საწყობდება სპეციალურ წიდის სასაწყობო შენობაში. წიდის დროებითი დასაწყოების შენობა გადახურულია, იატაკი მობეტონებულია, დაცულია ატმოსფერული ნალექებისა და სანიაღვრე წყლებისაგან. აღნიშნულ საწყობში შესაძლებელია დროებით დასაწყოვებული იქნას 5000 ტონა ტყვიის შემცველი წიდა.

1 ტონა მეტალური ტყვიის მიღებისას საშუალოდ წარმოიქმნება 6-7%, ანუ 64.5 კგ წიდა. შესაბამისად, საწარმოში წლის განმავლობაში მოსალოდნელია დაახლოებით 80 ტონა წიდის დაგროვება. საწარმოში დაგეგმილი ტყვიის დნობის თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენების შედეგად წიდაში ტყვიის ოქსიდის შემცველობა არ იქნება 3 %-ზე მეტი.

საწარმოს ტექნოლოგიური პროცესის პირველ ეტაპზე მოხდება აკუმულატორების დემონტაჟი. ამისათვის დროებითი დასაწყობების ადგილიდან აკუმულატორები გადაიზიდება სადემონტაჟო საამქროში. აკუმულატორების დაშლა მოხდება ხელით და გამოყენებული იქნება სპეციალური დასაჭრელი მოწყობილობები. ამოღებული ტყვიის ფირფიტების, ელექტროლიტური პასტის და ტყვიის სხვა დეტალების განთავსება მოხდება სპეციალურ-დახურულ კონტეინერებში და დასაწყობდება საამქროში, საიდანაც ავტოკარით გადაიზიდება საწარმოო საამქროში მბრუნავ ღუმელებში ჩასატვირთად.

აკუმულატორის მონობლოკების დაშლის შედეგად მიღებული არამეტალური ნარჩენები (პოლიეთილენი, პოლიპროპილენი, პ.ვ.ქ) დახარისხდება სახეობების მიხედვით და ცალ-ცალკე განთავსდება კონტეინერებში. ნარჩენები ასევე დასაწყობდება სადემონტაჟო საამქროში და დაგროვების შესაბამისად გაცემული იქნება შესაბამისი ნებართვის მქონე ორგანიზაციებზე.

აკუმულატორის დემონტაჟის დროს წარმოქმნილი ქაღალდის ნარჩენები და მინა-ბამბა დაბინძურებულია ტყვიის ოქსიდებით და გასუფთავების გარეშე მათი ნაგავსაყრელზე გატანა დაუშვებელია. ამიტომ, ისინი ტყვიის ჯართთან ერთად განთავსდება სადნობ ღუმელში. დნობის პროცესში ქაღალდის ნარჩენები დაიწვება, ხოლო მინა-ბამბა გამოილექება წიდასთან ერთად.

წყალი საწარმოში გამოიყენება სასმელ-სამეურნეო, ხანძარსაწინააღმდეგო და საწარმოო მიზნებისათვის. საწარმოს წყალმომარაგება განხორციელდება ადგილობრივი წყალმომარაგების სისტემიდან. სასმელ-საყოფაცხოვრებო და სამეურნეო-ფეკალური წყლების ჩაშვება მოხდება საკანალიზაციო სისტემაში.

№2

მოქმედი ჰაერდაცვითი კანონმდებლობის შესაბამისად, შემუშავებული და გარემოსდაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან არის შეთანხმებული ,,ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტი''.

შპს ,,თათლმა" საქმიანობა განახორციელოს აღნიშნული გადაწყვეტილებით (№8; 22.02.2018) გათვალისწინებული შემდეგი პირობების დაცვით;

1. საქმიანობის განხორციელება უზრუნველყოს წარმოდგენილი გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის, გზშ-ს ანგარიშში წარმოდგენილი ტექნოლოგიური სქემის, გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებების, გარემოსდაცვითი მონიტორინგის და ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების გეგმების შესაბამისად;
2. უზრუნველყოს ,,ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტში" წარმოდგენილი გამოყოფის და გაფრქვევის წყაროების, ასევე აირმტვერდამჭერი მოწყობილობების პარამეტრების დაცვა და, შესაბამისად, დადგენილი ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების შესრულება;
3. უზრუნველყოს ჰაერის ხარისხის მონიტორინგის წარმოება როგორც საწარმოს ტერიტორიაზე, ისე უახლოეს დასახლებულ პუნქტთან მიმართებაში, კანონმდებლობით დადგენილი წესით.
4. გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემიდან 3 თვის ვადაში უზრუნველყოს საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2015 წლის 4 აგვისტოს #211 ბრძანების შესაბამისად შემუშავებული ნარჩენების მართვის გეგმის შესათანხმებლად წარმოდგენა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში. გეგმაში დეტალურად უნდა იყოს განხილული და დაზუსტებული ნარჩენის კოდით 100401' (წიდები-პირველადი ან მეორადი გადადნობიდან) შემდგომი მართვის საკითხები;
5. საწარმომ ნარჩენების მართვა უზრუნველყოს ნარჩენების მართვის კოდექსისა და მისგან გამომდინარე კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების მოთხოვნებისა და ვალდებულებების შესაბამისად.
6. სახიფათო ნარჩენის დროებითი შენახვის ობიექტის მოწყობა და სახიფათო ნარჩენების დროებითი განთავსება უზრუნველყოს ,,სახიფათო ნარჩენების შეგროვებისა და დამუშავების სპეციალური მოთხოვნების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2016 წლის 29 მარტის N145 დადგენილებით გათვალისწინებული მოთხოვნების და ვალდებულებების შესაბამისად;
7. უზრუნველყოს ელექტროლიტებისაგან დაცლილი აკუმულატორების მიღება მხოლოდ შესაბამისი ნებართვის/გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მქონე ორგანიზაციებიდან;
8. იმ შემთხვევაში თუ ნარჩენი კოდით 100401' (წიდები-პირველადი ან მეორადი გადადნობიდან) განკუთვნილია განთავსებისათვის მათი საწარმოს ტერიტორიაზე შენახვა უზრუნველყოს 1 წელზე ნაკლები დროით

ნარჩენები განკუთვნილია აღდგენისათვის მათი შენახვა განახორციელოს 3 წელზე ნაკლები დროით;

9. საქმიანობის შეწყვეტის შემთხვევაში, უზრუნველყოს გარემოს წინანდელ მდგომარეობამდე აღდგენის გზებისა და საშუალებების განსაზღვრა და შესაბამისი პროექტის გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროში წარმოდგენა;
10. გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების სხვა პირზე გადაცემის შემთხვევაში გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გადაცემა განახორციელოს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით" დადგენილი წესით.

კომისიის თავმჯდომარე:

ქრისტინე ვარდანაშვილი

ნარჩენებისა და ქიმიური ნივთიერებების მართვის სამსახურის
მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი;

კომისიის წევრები:

ნინო ობოლაშვილი

ატმოსფერული ჰაერის სამმართველოს
მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი;

ომარ ყენია

სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს
გარემოს დაბინძურების მონიტორინგის დეპარტამენტის
გარემოზე ტექნოგენური ზემოქმედების შეფასებისა და
საექსპედიციო მომსახურების სამმართველოს მთავარი სპეციალისტი.

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრს
ბატონ ლევან დავითაშვილს

ბატონო ლევან,

საქართველოს კანონი „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი"48-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, წარმოგიდგენთ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „თათლი"ს გარდაბნის რაიონი, სოფელი აღთაკლიაში (ს/კ 81.06.00.333), ამორტიზირებული აკუმულატორებიდან ამოღებული ტყვიის სადნობი ,და დნობისას წარმოქმნილი ტყვიის შემცველი წიდის დროებითი დასაწყოების საწარმოს ექსპლოატაციის პირობების ცვლილების გზშ-ს ანგარიშს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მისაღებად.

